დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია
CITY HALL OF DUSHETI MUNICIPALITY

KA990131911357919

საქართველო, 1800, ქ.დუშეთი, რუსთაველის ქ. № 27 +995(346)221989
www.dusheti.gov.ge
27 RUSTAVELI STREET, DUSHETI, 1800, GEORGIA +995(346)221987 info@dusheti.gov.ge

№ **07/16656** **24 / ივლისი / 2019 წ.**

შპს "ცივწყარო"-ს დირექტორს
თამაზ ბედუკაძეს

ბატონო თამაზ,

დუშეთის მუნიციპალიტეტსა და თქვენ შორის 2019 წლის 26 ივნისს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N242 ხელშეკრულება (CMR-190122455), რომლითაც განსაზღვრულია: დუშეთის მუნიციპალიტეტის, ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთულში, სოფელ არახვეთში თავშეყრის ადგილის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, რომლის მიწოდების ვადად განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 26 ივლისის ჩათვლით, მოქმედების ვადა 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით (N1143/ს, 06.06.2019წ.) წედამხედველობის გაწევაზე შექმნილი ჯგუფის მიერ შემოწმებულ იქნა აღნიშნული სამუშაოები და გაწვდით ინფორმაციას, რომ ხელშეკრულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტით შპს „ცივწყარო“-ს არ უწარმოებია სამშენებლო სამუშაოები. „უზრუნველყოს სამუშაოს დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ N242 ხელშეკრულების (CMR-190122455), მე-12 მუხლის 1 პუნქტის თანახმად ხელშეკრულებით ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად (გარდა მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისა) შესრულებისთვის, დამრღვევი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 5% ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვინეს 5(ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულებების დაუყოობნებლივ გამოსწორება. მე-2 პუნქთით,მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით. მე-3 პუნქტით, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ზურაბ სეხნიაშვილი